# უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

## გადაწყვეტილება № 86

2018 წ. „06“ 11

ქ. თბილისი

**სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ**

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ფორმაში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის $56^2$ მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, $56^3$ მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე-6 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

**საბჭომ გადაწყვიტა:**

1. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს (ს/კ: 220407888) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (სასწავლო უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1 000-ით.
2. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 6 ნოემბრის №23-ე სხდომის ოქმის პირველი ნაწილი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის შესახებ, ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილებად.

4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის №1 ანქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

**თავმჯდომარე**
დავით აფრასიძე

**მდივანი**
მაკა გველესიანი

*დანართი*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | **პროგრამების ჩამონათვალი რომლის განხორციელების უფლებაც აქვს დაწესებულებას** | | | | | |
| | **ბაკალავრიატი** | | | | | |
| № | **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** | **სწავლების ენა** | **მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით** | **კრედიტების რაოდენობა** | **ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციი სშესახებ** | **მიუთითეთ შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი** |
| 1 | ბიზნესის ადმინისტრირება | ქართული | ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი-02 | 240 | აკრედიტირებული | 8.11.2012 N624 |
| 2 | საჯარო მმართველობა | ქართული | საჯარო მმართველობის ბაკალავრი-1109 | 240 | აკრედიტირებული | 24.07.2015 N80 |
| 3 | სამართალი | ქართული | სამართლის ბაკალავრი-06 | 240 | აკრედიტირებული | 14.12.2016 N138 |
| 4 | ქართული ფილოლოგია | ქართული | ფილოლოგიის ბაკალავრი-1005 | 240 | აკრედიტირებული | 8.11.2012 N621 |
| 5 | ინგლისური ფილოლოგია | ქართული | ფილოლოგიის ბაკალავრი-1005 | 240 | აკრედიტირებული | 8.11.2012 N622 |
| 6 | ისტორია | ქართული | ისტორიის ბაკალავრი-1004 | 240 | აკრედიტირებული | 8.11.2012 N620 |
| 7 | დაწყებითი განათლება | ქართული | განათლების ბაკალავრი-03 | 240 | აკრედიტირებული | 8.11.2014 N265 |
| 8 | ფარმაცია | ქართული | ფარმაციის ბაკალავრი-0903 | 240 | აკრედიტირებული | 27.11.2012 N710 |
| | **მაგისტრატურა** | | | | | |
| 9 | მცირე ბიზნესის მართვა | ქართული | მცირე ბიზნესის მართვის მაგისტრი-020326 | 120 | აკრედიტირებული | 8.11.2012 N625 |
| 10 | ქართული ლიტერატურის ისტორია | ქართული | ქართული ლიტერატურის | 120 | აკრედიტირებული | 8.11.2012 N626 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ისტორიის მაგისტრი-100522 | | | |
| 11 | ისტორია | ქართული | საქართველოს ისტორიის მაგისტრი-100401 | 120 | ავტორიზებული | 21.08.2012 N260 |
| 12 | ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა | ქართული | - | 60 | აკრედიტირებული | 8.11. 2012 N619 |
| 13 | მასწავლებლის მომზადების (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ინგლისური ენა, ისტორია) საგანმანათლებლო პროგრამა | ქართული | - | 60 | აკრედიტირებული | 14.12.2016 N137 |